

**ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის 2005/36
დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება
საქართველოში**

შესავალი

“ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36 პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ”¹ განსაზღვრავს წევრ ქვეყნებში პროფესიული კვალიფიკაციის საკითხებს. კერძოდ, ამ კვალიფიკაციაზე დაშვებას, საქმიანობის განხორციელებასა და აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს დირექტივა ეხება ევროკავშირის ერთ წევრ ქვეყანაში მიღებული კვალიფიკაციის მეორე წევრის მიერ აღიარებას, ის ასევე შეეხება ნებისმიერ მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც სურვილი აქვს ევროკავშირის ნებისმიერ წევრ ქვეყანაში გააგრძელოს სწავლა ან განახორციელოს საქმიანობა, რომელიც ამ დირექტივით განიხილება როგორც რეგულირებადი პროფესია.

დირექტივის შესავალში მითითებულია შემდეგი:

“(10) ეს დირექტივა არ ქმნის დაბრკოლებას წევრი ქვეყნებისთვის თავიანთი წესების შესაბამისად აღიარონ პროფესიული კვალიფიკაციები, რომელიც მიღებულია ევროკავშირის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მესამე ქვეყანაში. **აღიარებამ, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს პროფესიებისთვის დადგენილი მინიმალური მომზადების პირობები**”.

ამ დირექტივით რეგულირდება შემდეგი შვიდი პროფესიის მინიმალური მოსამზადებელი პირობები:

1. ექიმი(მუხლი 24)
2. ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი (მუხლი 31)
3. სტომატოლოგი /პრაქტიკოსი/ (მუხლი 34)
4. ვეტერინარი / ვეტერინარი ქირურგი (თავი 38
5. ბებიაქალი (მუხლი 40)
6. ფარცევტი (მუხლი 44)
7. არქიტექტორი (მუხლი 46)

ამდენად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოში გაცემული ზემოაღნიშნული კვალიფიკაციების აღიარება სწავლის გაგრძელებისა თუ პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით დამოკიდებული იქნება, რამდენად შეესაბამება საქართველოში ამ კვალიფიკაციისთვის მომზადების პირობები დირექტივის მინიმალურ მოთხოვნებს.

აღნიშნულის გარდა, 2015 წლის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ერევნის სამიტზე განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა დაამტკიცეს დოკუმენტი “ევროპული მიდგომა ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის.”² დოკუმენტი მიუთითებს იმ პრინციპებზე, რომელთა დაცვაც აუცილებელია ერთობლივი პროგრამების განხორციელების დროს. სწავლი შედეგებთან დაკავშირები პუნქტი 2.4 (რეგულირებადი პროფესია) აღნიშნულია შემდეგი:

“თუ რელევანტურია სპეციფიკური ერთობლივი პროგრამისთვის, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ევროკავშირის დირექტივა 2005/36/EC -ით განსაზღვრული მომზადების შეთანხმებული მინიმალური პირობები ან დირექტივის შესაბამისად ჩამოყალიბებული მომზადების საერთო ჩარჩო. “

¹ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0036>

² https://www.eqar.eu/fileadmin/documents/bologna/02_European_Approach_QA_of_Joint_Programmes_v1_0.pdf

გარდა ამ ნორმისა ეს დოკუმენტი დიდ ყურადღებას აქცევს ევროკავშირის დირექტივას. შენიშვნაში აღნიშნულია, რომ თუ ერთობლივი პროგრამა ანიჭებს ევროდირექტივა 2005/36/EC-ის შესაბამის კვალიფიკაციას, მაშინ ამის შესახებ ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა აცნობოს ევროკავშირს. უსდ-მა ეს უნდა გაითვალისწინონ ხარისხის უზრუნველყოფისთვის (რევიურებისთვის).

ყოველივე ზემოაღნიშნული, დირექტივაში მოცემულ შვიდ პროფესიულ კვალიფიკაციასთან მიმართებაში, ნიშნავს შემდეგს:

ა) საქართველოში გაცემული ამ კვალიფიკაციების აღიარება

და

ბ) საქართველოს უსდ-ის მიერ ერთობლივი პროგრამების განხორციელება აღნიშნული კვალიფიკაციის გაცემით შესაძლებელია მხოლოდ დირექტივაში მოცემული მინიმალური პირობების დაკმაყოფილებით.

ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს საქართველოში არსებული შესაბამისი პროგრამებისთვის წაყენებულ მოთხოვნები და რისი გაკეთებაა საჭირო შემდგომი განვითარების მიზნით.

დოკუმენტში მოკლედაა აღწერილი საქართველოში არსებული პროგრამების შესაბამისობა დირექტივის მოთხოვნებთან. კერძოდ, დაშვების პირობები, მომზადების მინიმალური ვადები და პირობები, ევროპული გამოცდილება და გავლენა საქართველოში არსებულ პროგრამებზე. დანართის სახით მოცემულია 2005/36/EC დირექტივის შესაბამისი ნორმები.

რეზიუმე

ევროდირექტივით განსაზღვრული პროფესიული კვალიფიკაციების/პროგრამების განხორციელება საქართველოში და შესაბამისობა ევროდირექტივის მოთხოვნებთან:

1. დაშვების პირობები

საქართველოში უმაღლესი დაშვების პირობა შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივასთან.

2. მომზადების მინიმალური ვადები

მხოლოდ ორი პროგრამა აკმაყოფილებს მომზადების მინიმალურ ვადას, სადც არ ჩნდება არანაირი კითხვა: სამედიცინო და სტომატოლოგია. ამასთან, ორივე პროგრამა არის რეგულირებადი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და პროფესიაში შესვლა შესაძლებელია მარეგულირებლის მიერ დადგენილი დამატებითი პირობების დაცვის შემთხვევაში.

საექთნო საქმე და ბეზიაქალის მომზადების საბაკალავრო პროგრამები ვადის მიხედვით შესაბამისობაშია, თუმცა პროფესიული განათლებაშიც არსებობს პრაქტიკოსი ექთნის და ბეზიაქალის პროგრამები, რაც სწავლის შედეგებთან მიმართებაში ამ პროგრამების შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ფამაცია და არქიტექტურა ხორციელდება მინიმუმ საბაკალავრო დონეზე. არსებობს სამაგისტრო პროგრამებიც, მაგრამ ვალდებულება, რომ ფარმაცევტი ან არქიტექტორი ჯამურად სამაგისტრო დონის კვალიფიკაციის მფლობელი იყოს არ არსებობს. შესაბამისად, შესაძლებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელება საბაკალავრო კვალიფიკაციით. ასევე არაა გამორიცხული მხოლოდ სამაგისტრო კვალიფიკაციის ფლობა (ანუ მაგალითად როდესაც არქიტექტურის მაგისტრს საბაკალავრო კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს სხვა

სპეციალობით). აღნიშნული წინააღმდეგობაშია ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებთან მომზადების მინიმალურ ვადასთან დაკავშირებით.

ვეტერინარია 2011 წლამდე იყო 5 წლიან ინტეგრირებული განათლება და ვადის თვალსაზრისით შესაბამისობაში იყო დირექტივასთან. ამჟამად არსებობს საბაკალავრო პროგრამები. ამასთან, ევროპაში ვეტერინარია მედიცინის მსგავსად არის ინტეგრირებული განათლება .

რეგულირებადი პროგრამა/პროფესია	2005/36/EC	საქართველო	შენიშვნა
ექიმი	მინიმუმ 5 წელი	360ECTS – 6 წელი	
ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი	მინიმუმ 3 წელი	240 ECTS – 4 წელი, ბაკალავრიატი	ასევე პროფესიულ დონეზე ხორციელდება პრაქტიკოსი ექთნის პროგრამა
სტომატოლოგი	მინიმუმ 5 წელი	300ECTS – 5 წელი	
ვეტერინარი	მინიმუმ 5 წელი	240 ECTS – 4 წელი, ბაკალავრიატი	ევროპაში ვეტერინარია, ისევე როგორც მედიცინა/ვეტერინარია რჩება ინტეგრირებულ განათლებად
ბეზიაქალი	მინიმუმ 3 წელი	240 ECTS – 4 წელი, ბაკალავრიატი	ასევე პროფესიულ დონეზე ხორციელდება პრაქტიკოსი ექთნის პროგრამა
ფარცევტი	მინიმუმ 5 წელი	240 ECTS – 4 წელი, ბაკალავრიატი	ევროპაში ფარმაცევტის მომზადება შესაძლებელია ბოლონის სქემით (3+2 / 4+2 / 4+1)
არქიტექტორი	მინიმუმ 5 წელი	240 ECTS – 4 წელი, ბაკალავრიატი	ევროპაში არქიტექტორის მომზადება ძირითადად ხდება ბოლონის სქემით

3. გაგლენა საქართველოს საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ა) დარგობრივ დოკუმენტებში უნდა ასიახოს:
 - დირექტივაში მოცემული სწავლის ჯამური შედეგები
 - თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი და სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები

ბ) **საექთნო საქმე და ბეზიაქალი:** საქართველოში ერთდროულად არსებობს საექთნო საქმის და ბეზიაქალის 2 სხვადასხვა დონის პროგრამა. *აუცილებელია ჩატარდეს კვლევა*, რათა გაირკვეს საჭიროა თუ არა 2 სახის ექთანი/ბეზიაქალი საქართველოში, როგორია მათი დასაქმება და მათ შორის კავშირი.

გ) **ვეტერინარია** უნდა გახდეს ინტეგრირებული 300 კრედიტიანი პროგრამა., რაც მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას.

დ) **არქიტექტურა და ფარმაცია** - ეს პროგრამები ევროპაში ძირითადად ხორციელდება ბოლონის საფეხურების შესაბამისად. საქართველოშიც მისი შეცვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს. თუმცა, აქ მთავარია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა. რაც ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების

შესახებ კანონის მუხლი 44, პ. 4, ქვეპუნქტი “ზ”, რომლის თანახმადაც მაგისტრატურაში სწავლის მიზანია “სპეციალობის შეცვლა”, საჭიროებს ცვლილებას იმგვარად, რომ საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი პროფესიებისთვის შესაძლებელი გახდეს შესაბამისი საბაკალავრო კვალიფიკაციის პირობის წაყენება სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მიზნით.

**ევროკავშირის 2005/36/EC დირექტივით რეგულირებული შვიდი პროფესიული
კვალიფიკაციის მინიმალური მოსამზადებელი პირობები და შესაბამისი კვალიფიკაციები
საქართველოში**

I. ექიმი

დაშვების პირობა:

24-ე მუხლის პირველი პუნქტი შეეხება უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ კი უნივერსიტეტში დასაშვებად აუცილებელი კვალიფიკაციის ფლობას. აღნიშნულ მოთხოვნასთან შესაბამისობასია საქართველოში არსებული დაშვების პირობა.

მომზადების მინიმალური ვადა და განხორციელების პირობები:

დირექტივის მიხედვით მომზადების მინიმალური ვადა სულ მცირე 5 წელი, რომელიც შეიძლება აღიწეროს კრედიტებით. ამასთან თეორიული და პრაქტიკული სწავლება, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტში ან მისი ზედამხედველობით უნდა იყოს სულ მცირე 5500 საათი.

24-ე მუხლის მეხამე პუნქტში მოცემულია ექიმის განზოგადებული სწავლის შედეგები.

მომზადების ვადები, სწავლის შედეგები და გავლენა საქართველოში არსებულ პროგრამებზე

საქართველოს კანონმდებლობით დიპლომირებული მედიკოსის მომზადება ხორციელდება 360 კრედიტის, 6 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამით. საათების მინიმალური რაოდენობა ჯამში 9000 სთ-ს შეადგენს (1 კრედიტი = 25 სთ). შესაბამისად რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში არსებული პროგრამები შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს.

სწავლის შედეგებში თეორიულ ცოდნასთან ერთად ხაზგასმულია კლინიკური გამოცდილება, რაც ნიშნავს, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სავალდებულოდ უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკას აავადმყოფოში/ჰოსპიტალში. სწავლის შედეგებთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა აისახოს დარგობრივ დოკუმენტში და გათვალისწინებულ იქნეს აკრედიტაციის დროს.

II. ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი

დაშვების პირობა:

ა) 12 წლიანი სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი ან ეკვივალენტური დოკუმენტი, რომელიც იძლევა დაშვებას უნივერსიტეტში.

ბ) სულ მცირე 10 წლიანი ზოგადი განათლების დასრულების დოკუმენტი, რომელიც იძლევა დაშვებას ექთნის მომზადების პროფესიულ სასწავლებელში ან პროგრამაზე.

მომზადების ვადები და განხორციელების პირობები:

- მომზადების მინიმალური ვადაა 3 წელი ან შესაბამისი ECTS კრედიტები.
 - უნდა მოიცავდეს თეორიული და კლინიკური მეცადინეობის სულ მცირე 4 600 საათს. აქედან:
 - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლიობა უნდა იყოს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი,
 - კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 2300 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას. (92 ECTS თუ 1 კრედიტი =25სთ-ს)
 - პროგრამა უნდა მიმდინარეობდეს სრული დატვირთვის ფორმატით
 - სულ მცირე უნდა მოიცავდეს დირექტივის 5.2.1 პუნქტში აღწერილ პროგრამას
 - სასწავლებელი პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობების კოორდინაციაზე.
- სწავლის შედეგები

მომზადების ვადები, სწავლის შედეგები და გავლენა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) საქონო საქმის ბაკალავრის პროგრამა არის 4 წლიანი, 240 კრედიტიანი და მოიცავს მინიმუმ 6000 სთ-ს (1 კრედიტი=25 სთ). შესაბამისად საქონო საქმის საბაკალავრო პროგრამის მომზადების ვადა არ არღვევს დირექტივით დადგენილ მინიმუმს.

გარდა უმაღლესში არსებული 240 კრედიტიანი პროგრამებისა არსებობს პროფესიული განათლების 3 წლიანი პროგრამები “პრაქტიკოსი ექთანი”. “პრაქტიკოსი” გაუგებარია, ვინაიდან საქონო პროგრამა მინიმუმ 1/2 და მაქსიმუმ 2/3 მოიცავს პრაქტიკას და ამზადებს ექთანს პრაქტიკისთვის.

ბ) დირექტივის შესაბამისად მინიმუმ 92 კრედიტი უნდა დაეთმოს პრაქტიკას. ეეგ-ს 2015 წლის ცნობარით საქართველოში 4 უმაღლესი სასწავლებელი ახორციელებს საქონო საქმის პროგრამას. 7 დეკემბრის მდგომარეობით სასწავლებლების ვებგვერდებზე შემდეგი სახი ინფორმაციაა:

- თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი. საგანმანათლებლო პროგრამა (შესაბამისი დოკუმენტი არ გაიხსნა)
- საქართველოს უნივერსიტეტი (საგანმანათლებლო პროგრამა - პრაქტიკა 100 კრედიტი
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი: საქონო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა ხარისხის ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი , პრაქტიკა 50 კრედიტი)
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, მხოლოდ სწავლის შედეგები, პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია არ იძებნება.

გ) საქონო საქმის ბაკალავრი და პრაქტიკოსი ექთანი

ქვეყნებს აქვთ სხვადასხვა მიდგომა, ზოგჯერ საქონო არის მხოლოდ საბაკალავრო განათლება, ზოგჯერ კი საშუალოს შემდგომი პროფესიული განათლება. სწავლის შედეგები ექთნის პროფესიული ცოდნა-უნარების თვალსაზრისით ერთი და იგივეა. საბაკალავრო დონე სტუდენტს უფრო ფართო აკადემიურ განათლებას სთავაზობს.

საქართველოში ერთდროულად არსებობს საქონო საქმის 2 სხვადასხვა დონის პროგრამა. გაუგებარი ხდება ქვეყანაში 2 სხვადასხვა დონეზე ერთი და იგივე შედეგის პროგრამის

არსებობა.

აუცილებელია ჩატარდეს კვლევა, რათა გაირკვეს საჭიროა თუ არა 2 სახის ექთანი საქართველოში, როგორია მათი დასაქმება და ამ ორი სახის ექთანს შორის კავშირი.

დ) დირექტივის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტში მოცემულია ექთნის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, ასევე V.2. დანართის პუნქტი 5.2.1. მოცემულია ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მოსამზადებელი პროგრამის საკითხები უნდა აისახოს **საექთნო საქმის დარგობრივი დოკუმენტში**.

III. სტომატოლოგი

დაშვების პირობა:

აღნიშნულ მოთხოვნასთან შესაბამისობასია საქართველოში არსებული დაშვების პირობა.

მომზადების ვადები და განხორციელების პირობები:

საბაზო სტომატოლოგიური მომზადება უნდა მოიცავდეს სულ მცირე 5 სასწავლო წელიწადს და თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის სულ მცირე 5 000 საათს. დირექტივაში მოცემულია სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამით გასათვალისწინებელი საგნები.

მომზადების ვადები, სწავლის შედეგები და გავლენა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

საქართველოს კანონმდებლობით სტომატოლოგია არის 300 კრედიტიანი ანუ მინიმუმ 5 წელი. საათების რაოდენობაა მინიმუმ 7500 (თუ 1კრედიტი =25 სთ), რაც ნიშნავს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით შესაბამისობაშია დირექტივასთან.

დირექტივაში დამატებით მოცემულია პროგრამისთვის წაყენებული მინიმალური მოთხოვნები და სწავლის შედეგები. სტომატოლოგიის დარგობრივმა დოკუმენტმა უნდა ასახოს ეს მოთხოვნები და შემდგომ გათვალისწინებულ იქნეს აკრედიტაციის დროს

IV. ვეტერინარი / ვეტერინარი ქირურგი

დაშვების პირობა:

ადასვების მოთხოვნასთან შესაბამისობასია საქართველოში არსებული დაშვების პირობა.

მომზადების მინიმალური ვადა და განხორციელების პირობები:

მომზადების მინიმალური ვადაა 5 წელი ან შესაბამის ECTS კრედიტები ანუ 300 კრედიტი. 5 წლიდან პრაქტიკა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 6 თვე. სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამით გასათვალისწინებელი საგნები აღწერილია დირექტივის 55-ე მუხლში და 5.4.1. დანართში.

გავლენა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

ვეტერინარის განათლება ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე

ქვეყანა	პროგრამა (კრედიტები, ვადები)	შემიშვნა
---------	------------------------------	----------

ავსტრია	12 სემესტრი - Diplomstudium Veterinärmedizin	ვენა, ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტი ³
ესტონეთი	ინტეგრირებული განათლება - 6 წლიანი ვეტერინარული მედიცინა	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტი ⁴
გერმანია	11 სემესტრი 4 წელი (8 სემ.) -თეორიული სწავლება უნივერსიტეტში 1 წელი (9-10 სემ.) პრაქტიკა სემესტრი 11 - გამოცდა	ჰანოვერი, ვეტერინარული მედიცინის უნივერსიტეტი ⁵
ლიტვა	336 ECTS Master's degree of Veterinary Medicine	Lituanian University of Health Sciences ⁶
გაერთიანებული სამეფო	ა) Bachelor of Veterinary Medicine (BVetMed) 5 წლიანი, სრული დატვირთვის პროგრამა ბ) BVMBVS* - 5 წელი	ა) ლონდონის უნივერსიტეტი, ვეტერინარიის სამეფო კოლეჯი (RVC) ⁷ ბ) ნოტინგემის უნივერსიტეტი ⁸

*N.B. გაერთიანებულ სამეფოში Bachelor of Veterinary Medicine / Veterinary Science, (BVM/VS, ისევე როგორც BMed არის სამაგისტრო დონის პროგრამები, მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდებაში გამოიყენება სიტყვა "ბაკალავრი". ამ კვალიფიკაციის შემდეგ სწავლის გაგრძელება შესაძლებელია სადოქტორო პროგრამაზე.

ეეგ-ს 2015 წლის ცნობარის მონაცემებით 3 საბაკალავრო პროგრამა გამოცხადდა ვეტერინარიაში:

- ვეტერინარია - აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი. აგრარული უნივერსიტეტი;
- ვეტერინარია - ვეტერინარიის ბაკალავრი. გრ. ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
- ვეტერინარია - აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ვეტერინარიაში. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

საქართველოში ვეტერინარია არის 240 კრედიტიანი, რაც შეესაბამება 4 წელს. საქართველოში გაცემული ვეტერინარის ბაკალავრის კვალიფიკაციის აღიარება შეუძლებელია ევროკავშირის ქვეყნებში, ვინაიდან ის არ აკმაყოფილებს მინიმალურ პირობას. შესაძლებელია ვეტერინარის მაგისტრის ხარისხის აღიარება, იმ შემთხვევაში თუ მაგისტრის კვალიფიკაციის მფლობელის საბაკალავრო დონის კვალიფიკაციაც იქნება ვეტერინარიაში.

ამასთან, 2005/36/EC დირექტივაში მოცემული პროგრამებიდან მხოლოდ მედიცინა, სტომატოლოგია და ვეტერინარია არის ძირითადად 5-6 წლიანი (300-360 კრედიტი). სხვა პროგრამები ბოლონის პროცესის 3 საფეხურს შეესაბამება და პრობლემასარ წარმოადგენს.

2011 წლამდე ვეტერინარია იყო 5 წლიანი, 300 კრედიტიანი პროგრამა. უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2011 წლის 17 ივნისის ცვლილებებით (კანონი N4792) ამოღებულ იქნა 300 კრედიტიანი ვეტერინარული განათლება კანონიდან. ევროპული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმჯობესი იქნება თუ აღდგება 300 კრედიტიანი პროგრამა.

V. ბეზიაქალი

³ <http://www.vetmeduni.ac.at/en/studies/degree-programmes/diploma-programme-in-veterinary-medicine/>

⁴ <https://www.emu.ee/en/studies/>

⁵ <http://www.tiho-hannover.de/en/studies-education/the-study-of-veterinary-medicine/veterinary-education/>

⁶ <http://www.lsmuni.lt/en/structure/veterinary-academy/faculty-of-veterinary-medicine--/about-faculty/>

⁷ <http://www.rvc.ac.uk/study/undergraduate/bachelor-of-veterinary-medicine>

⁸ <http://www.nottingham.ac.uk/ugstudy/courses/veterinarymedicineandscience/veterinary-medicine-surgery.aspx>

დაშვების პირობა:

- ა) 12 წლიანი სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი
- ბ) ზოგად მოვლაზე პასუხისმეგებელი ექთნის ფორმალური კვალიფიკაციის ფლობა,

მომზადების ვადები და განხორციელების პირობები:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მიხედვით არსებობს 2 გზა.

- დაშვება “ა” პუნქტის მიხედვით - სწავლა მინიმუმ 3 წელი.
- დაშვება “ბ” პუნქტის მიხედვით - 18 თვე.

სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამით გასათვალისწინებელი საგნები მოცემულია დირექტივაში: მუხლი 40; დანართი 5.5.1.

გავლენა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

საქართველოში ბებიაქალის მომზადების საბაკალავრო პროგრამა არის 240 კრედიტიანი, რაც ნიშნავს, რომ რაოდენობრივი მჭვენებელი პრობლემას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება სწავლის შედეგებს უნდა აისახოს შესაბამის დარგობრივი დოკუმენტში და შემდგომ ხარისხი უზრუნველყოფილ იქნეს აკრედიტაციის მეშვეობით.

ისევე როგორც საექთნო საქმე, საქართველოში ერთდროულად არსებობს ბებიაქალის 2 სხვადასხვა დონის პროგრამა. ამდენად, ბებიაქალთან მიმართებაშიც აუცილებელია ჩატარდეს კვლევა, რათა გაირკვეს საჭიროება, დასაქმება და ამ ორი სახის დონეს შორის ურთიერთკავშირი. დირექტივა ითვალისწინებს სერიოზულ პრაქტიკას. მოცემულია მშობიარობის მიღების, ახლამშობილისა და ფეხმძიმეს/ახალმშობიარეს კონკრეტული რაოდენობა, რომელსაც უნდა მოუაროს სტუდენტმა.

VI. ფარცვეტი

დაშვების პირობა:

საქართველოში არსებული დაშვების პირობა შესაბამისობასია დირექტივის მოთხოვნასთან.

მომზადების ვადები და განხორციელების პირობები:

5 წელი, საიდანაც სულ მცირე 4 წელი უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტში, ასევე სულ მცირე 6 თვიანი პრაქტიკა არის სავალდებულო.

დირექტივის 44-ე მუხლში მოცემულია სწავლის შედეგები და 5.6.1 დანართის დებულებებით კი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის გასათვალისწინებელი საგნები.

გავლენა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

2011 წელს ევროკავშირისმიერ დაფინანსებულმა პროექტმა Phatmine (Pharmacy education in Europe) შეისწავლა ევროკავშირის ქვეყნებში ფარმაცევტული განათლების მდგომარეობა ევროკავშირის 2005/36/EC დირექტივისა და ბოლონიის პრინციპების (ბაკალავრი, მაგისტრი) გათვალისწინებით. Phatmine-ს ვებგვერდზე⁹ მოცემულია ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით.

⁹ <http://www.pharmine.org/country-profiles/>

2005/36/EC დირექტივისა და ბოლონის პრინციპების გამოყენება ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყნის მიერ ფარმაცევტის მომზადებისთვის

ქვეყანა	2005/36/EC		ბოლონის პროცესი (საბაკალავრო+სამაგისტრო)	შენიშვნა
	მინიმუმ 5 წელი (მ.44, პ.2)			
	სულ მცირე 4 წელი უსდ-ში	პრაქტიკა სულ მცირე 6 თვე		
ავსტრია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	1 წელი	ერთსაფეხურიანი - "Magister der Pharmacy"	
გერმანია	4 წელი	12 თვე		3 სახელმწიფო გამოცდა
დანია	საბაკალავრო + სამაგისტრო შესაბამისობაშია დირექტივის მოთხოვნებთან		საბაკალავრო დასამაგისტრო პროგრამები. ბაკალავრს არა აქვს როლი ფარმაცევტულ საქმიანობაში. თითქმის ყველა ბაკალავრი აგრძელებს სამაგისტროზე. BPharm MPharm M.Sc. Pharmaceutical Sciences	დანიაში მხოლოდ 2 უსდ ახორციელებს ფარმაციის პროგრამებს
ესტონეთი	5 წელი			
ირლანდია	დირექტივის პირობები გათვალისწინებულია		ამ კვლევის დროს ირლანდიაში არსებობდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. საბაკალავროს არ შეესაბამებოდა პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს, ამის მიღწევა ხდებოდა სამაგისტრო პროგრამით.	ამჟამად ირლანდიაში ხორციელდება ახალი ინტეგრირებული სამაგისტრო -Master of Pharmacy MPharm
ლიტვა	4,5 წელი	6 თვე		
გაერთიანებული სამეფო	4 წელი უსდ	1 წელი პრაქტიკული საქმიანობა მარეგულირებლის მიხედვით	ინტეგრირებული მაგისტრი MPharm	MPharm არის 4 წლიანი ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა, მაგარამ მარეგულირებლის მოთხოვნაა, ხარისხის მიღების შემდეგ 1 წლიანი წინასწარეგისტრაციო პრაქტიკის გავლა*.

წყარო: <http://www.pharmine.org/country-profiles/>

* ფარმაციის რეგულირება გაერთიანებულ სამეფოში: <https://www.pharmacyregulation.org/education/pharmacist-education>

აღნიშნული ცხრილის მიხედვით არსებობს, როგორც ინტეგრირებული ასევე საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამები, თუმცა ფარმაცევტის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება შეუძლია მხოლოდ მაგისტრს.

ამდენად, ევროპული გამოცდილების მიხედვით ფარმაცევტის მომზადება საბაკალავრო + სამაგისტრო სქემით შესაძლებელია. ამასთან, დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

1. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება დამოკიდებული უნდა იყოს ფარმაციის საბაკალავრო კვალიფიკაციის არსებობაზე.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ჯამური შედეგი შესაბამისობაში უნდა იყოს დირექტივის 44-ე მუხლისა და 5.6.1 დანართის დებულებებთან.
3. ფარმაციის პროგრამის საერთო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება უნდა იყოს ან 4 წელი უსდ-ში + 1 წელი პრაქტიკა ან 4,5 წელი უსდ-ში + 6 თვე პრაქტიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა ჩაიწეროს დარგობრივ დოკუმენტში. ამასთან, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 44, პ. 4, ქვეპუნქტი “ზ” , რომლის თანახმადაც მაგისტრატურაში სწავლის მიზანია “სპეციალობის შეცვლა” საჭიროებს ცვლილებას, რათა საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი პროფესიებისთვის შესაძლებელი გახდეს შესაბამისი საბაკალავრო კვალიფიკაციის პირობის წაყენება სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების მიზნით.

ეევ-ს 2015 წლის ცნობარის მიხედვით 13 საბაკალავრო პროგრამა ფარმაციაში და ანიჭებენ ფარმაციის ბაკალავრის ხარისხს, აქედან ერთი ანიჭებს ჯანდაცვის ბაკალავრს ფარმაციაში.

VII. არქიტექტორი

დაშვების პირობა:

საქართველოში არსებული დაშვების პირობა შესაბამისობასია დირექტივის მოთხოვნასთან.

მომზადების ვადები და განხორციელების პირობები:

მინიმუმ 5 წელი უსდ-ში ან 4 წელი უსდ-ში +2 წელი პროფესიული პრაქტიკა/სტაჟირება (შესაბამისი სერტიფიკატი)

მომზადების ჯამური სწავლის შედეგები მოცემულია დირექტივის 46-ემუხლში.

მომზადების ვადები, სწავლის შედეგები და გავლენა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება 2005/36/EC დირექტივა, პროგრამებს არეგულირებენ ამმოთხოვნების შესაბამისად. ძირითადად იყენებენ ბოლონის სქემას (ბაკალავრი, მაგისტი, დოქტორი), ესტონეთს აქვს ინტეგრირებული მაგისტრი (თავად პროგრამაა გაყოფილია 2 დონედ). შესაბამისად, ბაკალავრი+მაგისტრის სექქმა 3+2 ან 4+2 მომზადების წლების თვალსაზრისით პრობლემას არ ქნის. მთავარია, რომ არქიტექტორი ხდება მხოლოდ ამ გაერთიანებული სქემის დასრულებისა და შესაბამისი მარეგულირების მიერ დადგენილი გამოცდების (შესაძლებელია სხვა პირობაც) ჩაბარების შემდეგ.

არქიტექტორის მომზადება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არქიტექტორის განათლების ევროპის ასოციაციისა¹⁰ და მარეგულირებლების მიხედვით

ქვეყანა	არქიტექტორის მომზადება უსდ-ში	შენიშვნა
ავსტრია	ბაკალავრი 180 ECTS	

¹⁰ <http://www.eaac.be/members/members-members/members-by-country/>

	მაგისტრი 120 ECTS	
გერმანია	ბაკალავრი მაგისტრი	TU -მიუნხენი 240-120 ECTS კოლნის უნი: 180-120 ECTS
გაერთიანებული სამეფო	ბაკალავრი მაგისტრი	ARB (მარეგულირებელი) Student handbook ¹¹ სხვადასხვა გზა
ესტონეთი	ინტეგრირებული მაგისტრი (3+2)	
ირლანდია	ბაკალავრი მაგისტრი	RIAI (მარეგულირებელი) QUALIFICATIONS IN ARCHITECTURE: Procedures for Prescription under the Building Control Act 2007 ¹²
ლიტვა	ბაკალავრი 240 ECTS მაგისტრი 120 ECTS	

საქართველოში არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები არქიტექტურაში, თუმც ამისი განხილვა 4+2 სქემით რთულია, ვინაიდან უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48-ე მუხლის თანახმად სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი პროფესიის შეცვლაა, ეს ნიშნავს, რომ არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია ჩააბაროს პირმა, რომელიც არ ფლობს არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხს.

ისევე როგორც, საქართველოში არქიტექტორი შეიძლება გახდეს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხის გაიცემა ისეთი სპეციალობით, როგორცაა ინტერიერის დიზაინერი (ეგ-ს 2015წლის ცნობარი).

ამდენად, ევროპული გამოცდილების მიხედვით, საქართველოში არქიტექტურის განათლების დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საჭიროა შემდეგის განხორციელება:

1. არსებული სქემა - საბაკალავრო და სამაგისტრო, აბსოლუტურად მისაღებია. როგორც ზემოაღნიშნული ცხრილი გვიჩვენებს ბოლონიის პროცესის საფეხურები არაა ხელისშემშლელი. მთავარია გაჩნდეს მჭიდრო კავშირი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის, რაც საჭიროებს ცვლილებას უმაღლესი განათლების შესახებ კანონში (მუხლი 44, პ. 4, ქვეპუნქტი “ზ”). ამდენად, არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება დამოკიდებული უნდა იყოს შესაბამისი საბაკალავრო კვალიფიკაციის ფლობაზე.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ჯამური შედეგი შესაბამისობაში უნდა იყოს დირექტივის 46-ე მუხლის დებულებებთან.
3. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა ჩაიწეროს დარგობრივ დოკუმენტში.

დანართი

¹¹ <http://www.arb.org.uk/files/files/ARB%20Student%20Handbook.pdf>

¹² <http://www.riai.ie/images/uploads/QUALIFICATIONS-ACCREDITATION%20IN%20ARCH%20-%20PROCEDURES%20FOR%20PRESCRIPTION.pdf>

**ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა
2005/36/EC პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ¹³**

ამონარიდი

თავი I

მუხლი 3.

დეფინიციები

1. ამ დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი დეფინიციები:

ა) რეგულირებადი პროფესია - პროფესიული საქმიანობა ან პროფესიული საქმიანობების ჯგუფი, სადაც დაშვება და საქმიანობის განხორციელება ან საქმიანობის განხორციელების სახე პირდაპირ ან არაპირდაპირ ექვემდებარება სპეციფიკური პროფესიული კვალიფიკაციის ფლობის საკანონმდებლო, მარეგულირებელ ან ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. კერძოდ, პროფესიული წოდება, რომელს გამოყენებაც კანონდებლობით, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული მოთხოვნებით შეუძლიათ მხოლოდ განსაზღვრული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირებს, შეიძლება მოიცავდეს საქმიანობის სახეს. იქ სადაც ამ პარაგრაფის პირველი წინადადება არ გამოიყენება, მეორე პარაგრაფში მითითებული პროფესია განიხილება როგორც რეგულირებადი პროფესია

(e) რეგულირებადი განათლება და ტრენინგი/მომზადება: ნებისმიერი მომზადება, რომელიც სპეციფიკურად შექნილია მოცემული პროფესიისთვის და რომელიც მოცავს კურსს ან სადაც საჭიროა დამატებით კურსებს პროფესიულ მომზადების ან პრობაციის ან პროფესიულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. პროფესიული მომზადების, პრობაციის ან პროფესიული პრაქტიკის სტრუქტურა და დონე უნდა განისაზღვროს წევრი ქვეყნების კანონმდებლობით, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული მოთხოვნებით ან ამ მიზნისთვის შემნილი ორგანო უნდა ახორციელებდეს მონიტორინგს ან ამტკიცებდეს მას(კურსს).

სექცია 2

ექიმი

მუხლი 24

საბაზო სამედიცინო მომზადება

1. საბაზო სამედიცინო მომზადების პროგრამაზე მიღების პირობაა უნივერსიტეტში, შესაბამის განათლებაზე დაშვებისთვის აუცილებელი დიპლომის ან სერტიფიკატის ფლობა.

2. საბაზო სამედიცინო მომზადება მთლიანობაში უნდა მოიცავდეს სულ მცირე 5 სასწავლო წელს, რაც დამატებით შეიძლება აისახოს ECTS -ის შესაბამისი კრედიტების ოდენობით და ის ასევე უნდა მოიცავდეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის სულ მცირე 5 500 საათს. მომზადება უნდა განხორციელდეს უშუალოდ უნივერსიტეტში ან უნივერსიტეტის ზედამხედველობის ქვეშ.

¹³ <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005L0036>

3. საბაზო სამედიცინო მომზადებამ უნდა უზრუნველყოს კონკრეტული პიროვნების მიერ შემდეგი ცოდნისა და უნარების შექმნა:

ა) იმ მეცნიერებების ადეკვატური ცოდნა, რომლებსაც ეფუძნება მედიცინა და ასევე სამეცნიერო მეთოდების გაგება/გაცნობიერება, ბიოლოგიური ფუნქციების გაზომვის პრინციპების, მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტების შეფასებისა და მონაცემის ანალიზის ჩათვლით;

ბ) ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის აგებულების, ფუნქციებისა და ქცევის საფუძვლიანი გაგება, ისევე როგორც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის ურთიერთკავშირისა მის ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან;

გ) პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, თერაპიული და რეპროდუქციული მედიცინის კლინიკური დისციპლინებისა და პრაქტიკული სამუშაოების ადეკვატური ცოდნა, რომელიც იძლევა მკაფიო სურათს მენტალური და ფიზიკური დაავადებების შესახებ;

დ) სათანადო კლინიკური გამოცდილება საავადმყოფოებში შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ.

სექცია 3

ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი

მუხლი 31

ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება

1. ექთნების მომზადების პროგრამაზე მიღება დამოკიდებულია ერთ-ერთ ქვემოთმოცემულ პირობაზე:

ა) 12 წლიანი სრული ზოგადი განათლების დასრულება, რომელიც დასტურდება შესაბამისი დიპლომით, სერტიფიკატით ან წევრ სახელმწიფოებში უფლებამოსილი ორგანოსა ან ორგანოების მიერ გაცემული სხვა დოკუმენტით ან სერტიფიკატით, რომელიც ადასტურებს ეკვივალენტურ დონეზე გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და იძლევა დაშვებას უნივერსიტეტში ან ეკვივალენტურ დონის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ან

ბ) სულ მცირე 10 წლიანი ზოგადი განათლების დასრულება, რომელიც დასტურდება დიპლომით, სერტიფიკატით ან წევრი სახელმწიფოებში უფლებამოსილი ორგანოსა ან ორგანოების მიერ გაცემული სხვა დოკუმენტით ან სერტიფიკატით, რომელიც ადასტურებს ეკვივალენტურ დონეზე გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და იძლევა დაშვებას ექთნის მომზადების პროფესიულ სასწავლებელში ან პროგრამაზე.

2. ექთნების მოსამზადებელი პროგრამა უნდა მიმდინარეობდეს სრული დატვირთვის ფორმატით და უნდა მოიცავდეს სულ მცირე მეხუთე დანართის 5.2.1 პუნქტში აღწერილ პროგრამას.

57c მუხლის საფუძველზე ევროკომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი აქტები, რომელიც გულისხმობს მეხუთე დანართის 5.2.1 პუნქტში მოცემული სიის განახლებასა და მოდიფიცირებას სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით.

მეორე ქვეპარაგრაფში მოცემული ცვლილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წევრი სახელმწიფოების მთავარ საკანონდებლო პრინციპებს პროფესიების სტრუქტურას, მათი მომზადებისა და დაშვების პირობების შესახებ.

ცვლილებები არ უნდა ლახავდეს წევრი სახელმწიფოების უფლებასა და პასუხისმგებლობას საკუთარი განათლების სისტემის მოწყობის შესახებ, 165(1) TFEU მუხლის თანახმად.

3. ექთნების მომზადების პროგრამა მთლიანობაში უნდა მოიცავდეს სულ მცირე 3 სასწავლო წელიწადს და დამატებით შეიძლება გამოხატული იყოს შესაბამისი ECTS კრედიტების ოდენობით, ასევე უნდა მოიცავდეს თეორიული და კლინიკური მეცადინეობის სულ მცირე

4 600 საათს. თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, ხოლო კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი. წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან ნაწილობრივი გამოწვევები დაუშვან იმ პროფესიონალებისათვის, რომლებმაც საკუთარი მომზადების ნახევარი გაიარეს კურსებზე, რომლებიც სულ მცირე ეკვივალენტური დონისაა. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ექთნების მომზადების პროგრამის განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მანძილზე აიღონ პასუხისმგებლობა თეორიული და კლინიკური მეცადინეობების კოორდინაციაზე.

4. თეორიული განათლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანს იძენს მე-6-ე და მე-7-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ პროფესიულ ცოდნას, უნარებსა და კონპეტენციებს. კურსი შეიძლება იკითხებოდეს მასწავლებლების, ექთნების ან სხვა კომპეტენტური პირების მიერ უნივერსიტეტში ან ეკვივალენტურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან პროფესიულ სკოლაში ან ექთნების მომზადების პროფესიული პროგრამის ფარგლებში.

5. კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანს, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ და ავადმყოფ პირებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კონპეტენციების საფუძველზე სწავლობს სრულფასოვანი საექთნო მომსახურების ორგანიზებას, განხორციელებასა და შეფასებას. მომავალმა ექთანმა უნდა ისწავლოს არა მარტო როგორ იმუშაოს გუნდში, არამედ ასევე მართოს გუნდი და ორგანიზება გაუწიოს სრულ საექთნო მომსახურებას, ასევე მიაწოდოს შესაბამისი განათლება ინდივიდებსა თუ მცირე ჯგუფებს, როგორც სამედიცინო დაწესებულებაში ასევე მოსახლეობაში/საზოგადოებაში.

5. ასეთი (კლინიკური) სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სავადმყოფოებში და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში და საზოგადოებაში/მოსახლეობაში, საექთნო საქმის მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების ზედამხედველობის ქვეშ. სასწავლო პროცესში მონაწილეობა ასევე შეიძლება მიიღოს სხვა კვალიფიციურმა პერსონალმა.

მომავალმა ექთანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაბამისი დეპარტამენტის ღონისძიებებში და იმ აქტივობებში, რომლებიც შეესაბამება მის მოსამზადებელ პროგრამას და საშუალებას აძლევს მას გამოიმუშავოს საექთნო საქმისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობები.

6. ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნების მომზადების პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი ცოდნისა და უნარების ათვისებას:

ა) იმ მეცნიერებების სრულყოფილი ცოდნა, რომლებსაც ემყარება საექთნო საქმე, მათ შორის ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის აგებულების/სტრუქტურის, ფუნქციების და ქცევის გაგება, ისევე როგორც ჯანმრთელი და ავადმყოფი პირების ქცევისა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის მის ფიზიკურ და სოციალური გარემოსთან კავშირის გაგება;

ბ) პროფესიის არსის/ზუნების და პროფესიული ეთიკის, ასევე ჯანდაცვისა და საექთნო საქმის ზოგადი პრინციპების ცოდნა;

გ) შესაბამისი კლინიკური გამოცდილება; გამოცდილება, დაგროვილი უნდა იყოს კვალიფიციური საექთნო პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ და უნდა განხორციელდეს იმ დაწესებულებაში, რომელიც უზრუნველყოფილია პაციენტის მოვლისათვის საჭირო კვალიფიციური კადრებითა და შესაბამისი აღჭურვილობებით;

დ) ჯანდაცვის პერსონალისათვის განკუთვნილ პრაქტიკულ მეცადინეობებში მონაწილეობის უნარი, ასევე ამგვარ პერსონალთან მუშაობის გამოცდილება;

ე) ჯანდაცვის სექტორის სხვა პროფესიების წარმომადგებლებთან ერთად მუშაობის გამოცდილება.

7. ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანის ფორმალურმა კვალიფიკაციებმა, უნდა უზრუნველყონ პროფესიონალის მიერ სულ მცირე შემდეგი კომპეტენციების გამომუშავება, მიუხედავად იმისა თუ სად განხორციელდა სწავლება უნივერსიტეტში, ეკვივალენტურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თუ ექთანის მომზადების პროფესიულ პროგრამის მეშვეობით:

ა) თეორიულ და კლინიკურ ცოდნაზე დაყრდნობით საჭირო საეთქნო მოვლის დამოუკიდებლად დიაგნოზირების კომპეტენცია. ასევე პაციენტის მკურნალობისას საექთნო მოვლის დაგეგმა, ორგანიზება და განხორციელება მეექვსე პარაგრაფის ა), ბ) და გ) პუნქტების შესაბამის ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით, საკუთარი პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;

ბ) ჯანდაცვის სექტორის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ეფექტურად მუშაობის კომპეტენცია, მათ შორის ჯანდაცვის პერსონალის პრაქტიკულ ტრენინგებში მონაწილეობა, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება მეექვსე პარაგრაფის დ) და ე) პუნქტების შესაბამისი ცოდნისა და უნარების ათვისებას;

გ) კომპეტენცია ხელი შეუწყოს ინდივიდებს, ოჯახებსა და სხვადასხვა ჯგუფებს იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით, მოუარონ და გაუფრთხილდნენ საკუთარი თავს. ეს კომპეტენცია ეფუძნება მეექვსე პარაგრაფის ა) და ბ) პუნქტების შესაბამის ცოდნასა და უნარებს.

დ) სიცოცხლის გადასარჩენად სასწრაფო ზომების დამოუკიდებლად ინიცირებისა და კრიტიკულ და კატასტროფულ სიტუაციებში შესაბამისი ზომების მიღების კომპეტენცია;

ე) დახმარებისა და მოვლის საჭიროების მქონე პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის შესაბამისი რჩევის, ინსტრუქციისა და მხარდაჭერის დამოუკიდებლად გამოხატვის კომპეტენცია;

ვ) საექთნო მოვლის დამოუკიდებლად შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის კომპეტენცია;

ზ) სრულფასოვანი პროფესიული კომუნიკაციისა და ჯანდაცვის სექტორის სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის კომპეტენცია;

თ) მოვლის ხარისხის ანალიზის კომპეტენცია საკუთარი, როგორც ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანის, პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

სექცია 4

პრაქტიკოსი სტომატოლოგი

მუხლი 34

საბაზო სტომატოლოგიური მომზადება

1. საბაზო სტომატოლოგიური მომზადების პროგრამაზე მიღების წინაპირობაა წევრ ქვეყნებში უნივერსიტეტში ან ეკვივალენტური დონის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებისთვის საჭირო დიპლომისა ან სერტიფიკატის ფლობას.

2. საბაზო სტომატოლოგიური მომზადება მთლიანობაში უნდა მოიცავდეს სულ მცირე 5 სასწავლო წელიწადს და დამატებით შეიძლება გამოხატული იყოს შესაბამისი ECTS კრედიტების ოდენობით, ასევე უნდა მოიცავდეს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის სულ მცირე 5 000 საათს და უნდა შეესაბამებოდეს მეხუთე დანართის 5.3.1 პუნქტში აღწერილ პროგრამას. მომზადება უნდა განხორციელდეს უშუალოდ

უნივერსიტეტში ან ეკვივალენტური დონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან უნივერსიტეტის ზედამხედველობის ქვეშ.

კომისის მიენიჭება უფლება მიიღოს აქტები 57c მუხლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მეხუთე დანართის 5.3.1 პუნქტში მოცემული სიის მოდიფიცირებას სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით.

3. საბაზო სტომატოლოგიური მომზადების პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი ცოდნისა და უნარების ათვისებას:

ა) იმ მეცნიერებების სრულყოფილი ცოდნა, რომლებსაც ემყარება სტომატოლოგია და სამეცნიერო მეთოდების გაგება/გაცნობიერება, რომელიც მოცავს ბიოლოგიური ფუნქციების გაზომვის პრინციპებს, მეცნიერულად დადგენილი ფაქტების შეფასებასა და მონაცემების ანალიზს;

ბ) ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის აგებულების, ფსიქოლოგიისა და ქვევის ადექვატური ცოდნა, ისევე როგორც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ბუნებრივ და სოციალური გარემოს გავლენის ცოდნა, თუ ეს ფაქტორები თავის მხრივ გავლენას ახდენენ სტომატოლოგიაზე;

გ) ჯანმრთელი და დაავადებული კბილების, პირის ღრუს, ყბისა და მათთან დაკავშირებული ქსოვილების სტრუქტურის/აგებულებისა და ფუნქციების, ასევე პაციენტის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ფიზიკურ და სოციალურ კეთილდღეობასთან მათი ურთიერთკავშირის ადექვატური ცოდნა;

დ) კლინიკური დისციპლინებისა და მეთოდების ადექვატური ცოდნა, რაც საშუალებას აძლევს სტომატოლოგს დაინახოს კბილების, პირის ღრუს, ყბისა და მათთან დაკავშირებული ქსოვილების ანომალიების, დაზიანებებისა და დაავადებების თანამიმდევრული სურათი და განახორციელოს შესაბამისი პრევენცია, დიაგნოსტიკა და თერაპია;

ე) შესაბამისი კლინიკური გამოცდილება სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.

მომზადების პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტისათვის ისეთი უნარების გამოუმუშავება, რაც საჭიროა კბილების, პირის ღრუს, ყბისა და მათთან დაკავშირებული ქსოვილების ანომალიებისა და დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის.

სექცია 5 ვეტერინარი ქირურგი

თავი 38 ვეტერინარი ქირურგის მომზადება

1. ვეტერინარი ქირურგების მომზადება მთლიანობაში უნდა მოიცავდეს სრული დატვირთვის, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის სულ მცირე 5 წელიწადს, რომელიც გამოხატული უნდა იყოს ECTS კრედიტების შესაბამისი ოდენობით. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს უნივერსიტეტში ან ეკვივალენტური დონის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან უნივერსიტეტის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, და ასევე უნდა მოიცავდეს ამავე დოკუმენტის მეხუთე დანართის 5.4.1 პუნქტში მოცემულ სასწავლო პროგრამას.

2. ვეტერინარის მომზადებაზე მიღების წინაპირობაა ა უნივერსიტეტში ან წევრი ქვეყნების მიერ ამ მიზნისთვის ექვევავაკენტურ დონედ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებისთვის აუცილებელი დიპლომის ან სერტიფიკატის ფლობა.

3. ვეტერინარიის ქირურგად მომზადება შესაბამის პირს უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი ცოდნითა და უნარებით:

ა) იმ მეცნიერებების შესაბამისი ცოდნა, რომელსაც ეფუძნება ვეტერინარიის ქირურგი, ისევე როგორც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობის ცოდნა.

ბ) ცხოველების აგებულების, ფუნქციების ქცევისა და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების ადეკვატური ცოდნა, ისევე როგორც უნარებისა და კომპეტენციების ფლობა, რომელიც აუცილებელია მათი შეჯვარების, კვების, სიცოცხლის, რეპროდუქციისა და ზოგადად ჰიგიენისთვის;

გ) კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ანალიტიკური უნარები და კომპეტენციები, რომელიც აუცილებელია ცხოველების დაავადებების პრევენციის, დიაგნოზის დასმისა და მკურნალობისთვის მ.შ. ანესთეზია, ასეპტიკური ოპერაცია და უმტკივნეული სიკვდილი, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ შემთხვევებში; ეს ასევე მოიცავს სპეციალურ ცოდნას იმ დაავადებების შესახებ, რომელიც შეიძლება გადაეცეს ადამიანს;

დ) პრევენციული მედიცინის შესაბამისი ცოდნა, უნარი და კომპეტენციები. ეს ასევე მოიცავს გამოკვლევასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს;

ე) ჰიგიენისა და ცხოველების საკვების ან ადამიანის კვებისთვის განკუთვნილი ცხოველური საკვების წარმოების, დამზადებისა და მიმოქცევის ტექნოლოგიების შესაბამისი ცოდნა მ.შ. ამ საკითხთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკის გაგებისა და ახსნის უნარები და კომპეტენციები;

ვ) ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც აუცილებელია ვეტერინარული სამკურნალო საშუალებების პასუხისმგებლობითა და გონივრულად გამოყენებისთვის ცხოველების მკურნალობისას, კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გარემოს დაცვისთვის.

სექცია 6

ბებიაქალი

მუხლი 40 ბებიაქალის მომზადება

1. ბებიაქალის მომზადება უნდა შედგებოდეს სულ მცირე:

ა) ბებიაქალის სპეციფიკური მომზადება სრული დატვირთვით, რომელიც მოიცავს სულ მცირე 3 წლიან თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას (გზა I) და შედგება მეხუთე დანართის 5.5.1 პუნქტში აღწერილი პროგრამისაგან, ან

ბ) ბებიაქალის 18 თვიანი სპეციფიკური მომზადება სრული დატვირთვით (გზა II), რომელიც სულ მცირე შედგება მეხუთე დანართის 5.5.1 პუნქტში აღწერილი პროგრამისაგან და რომელიც არაა ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნების მომზადების ეკვივალენტური.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბებიაქალის მომზადების პროგრამის განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აიღონ პასუხისმგებლობა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კოორდინაციაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მანძილზე.

კომისიას მიენიჭება უფლება მიიღოს აქტები 57c მუხლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მეხუთე დანართის 5.5.1 პუნქტში მოცემული სიის მოდიფიცირებას სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით.

მეორე ქვეპარაგრაფში მოცემული ცვლილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წევრი სახელმწიფოების მთავარ საკონონდებლო პრინციპებს პროფესიების სტრუქტურას, მათი მომზადებისა და დაშვების პირობების შესახებ. ცვლილებები არ უნდა ლახავდეს წევრი სახელმწიფოების უფლებასა და პასუხისმგებლობას საკუთარი განათლების სისტემის მოწყობის შესახებ, 165(1) TFEU მუხლის თანახმად

2. ბებიაქალის მომზადების პროგრამაზე მიღება ხდება შემდეგი პირობების მიხედვით:

ა) ბებიაქალის მომზადების სკოლაში (გზა I) მიღებისათვის საჭიროა 12 წლიანი სრული საშუალო სკოლის დასრულება ან გამოცდების წარმატებით გავლის ან შესაბამისი დონის დამლევის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფლობა;

ბ) ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის ფორმალური კვალიფიკაციის ფლობა, რომელიც შეესაბამება მეხუთე დანართის 5.2.2 პუნქტს (გზა II);

3. ბებიაქალის მომზადება შესაბამის პირს უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი ცოდნითა და უნარებით:

ა) იმ მეცნიერებების დეტალური ცოდნა, რომლებსაც ეფუძნება ბებიაქალის საქმიანობა, კერძოდ, ბებიაქალის საქმე, მეანობა და გინეკოლოგია;

ბ) პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი და შესაბამისი პროფესიული ეთიკისა და კანონმდებლობის ადექვატური ცოდნა;

გ) ზოგადი სამედიცინო განათლება (ბიოლოგიური ფუნქციები, ანატომია, ანატომია და ფიზიოლოგია) ასევე მეანობასა და ახალშობილთან დაკავშირებული ფარმაცოლოგიის ცოდნა. ასევე ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის ფიზიკურ და სოციალურ გარემოს შორის ურთიერთკავშირის ცოდნა;

დ) აღიარებულ ინსტიტუციაში მიღებული შესაბამისი კლინიკური გამოცდილება, რომელიც საშუალებას აძლევს ბებიაქალს დამოუკიდებლად და მისი უშუალო პასუხისმგებლობით, აუცილებლობის ფარგლებში და გარდა პათოლოგიური სიტუაციებისა, განხორციელოს მშობიარობამდე მოვლა, მიიღოს მშობიარობა და გაუმკლავდეს შედეგებს აღიარებული ინსტიტუციის ფარგლებში; ასევე მშობიარობისა და დაბადების, მშობიარობის შემდგომ მოვლისა და ახალშობილთა რეანიმირების ზედამხედველობა პრაქტიკოსი ექიმის მოსვლამდე.

ე) ჯანდაცვის პერსონალის მომზადებისა და ასეთ პერსონალთან მუშაობის გამოცდილების მნიშვნელობის ადექვატური გაგება.

სექცია 7

ფარცევტი

მუხლი 44 ფარმაცევტის მომზადება

1. ფარმაცევტის სასწავლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ისეთი დიპლომისა ან სერტიფიკატის ფლობა, რომელიც იძლევა დაშვების უფლებას შესაბამის პროგრამაზე წევრი სახელმწიფოების უნივერსიტეტებსა ან ექვივალენტურად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2. ფარმაცევტის ფომალური კვალიფიკაციის მისაღებად საჭიროა სულ მცირე 5 წლიანი მომზადება, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ECTS კრედიტების შესაბამისი ოდენობით. ის უნდა მოიცავდეს:

ა) სრული დატვირთვის თეორიული და პრაქტიკული მომზადების 4 წელს უნივერსიტეტში ან ეკვივალენტურად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან უნივერსიტეტის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

ბ) თეორიული და პრაქტიკული მომზადების დროს ან მის დასასრულს, ექვსთვიან პრაქტიკას აფთიაქში, რომელიც ღიაა საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ან რომელიც ფუნქციონირებს სამედიცინო დაწესებულებაში ფარმაცევტული განყოფილების ზედამხედველობის ქვეშ.

3. ფარმაცევტის მომზადებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პირის მიერ შემდეგი ცოდნისა და უნარების ფლობა:

- ა) მედიკამენტებისა და მათი წარმოებისათვის საჭირო ნივთიერებების შესაბამისი ცოდნა;
- ბ) ფარმაცევტული ტექნოლოგიისა და სამკურნალო საშუალებების ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური ტესტირების სათანადო ცოდნა;
- გ) ნივთიერებათა ცვლისა და სამკურნალო საშუალებების ეფექტისა და ტოქსიკური ნივთიერებების მოქმედების სათანადო ცოდნა, ასევე სამკურნალო საშუალებების გამოყენების ცოდნა;
- დ) მედიკამენტების შესახებ სამეცნიერო მონაცემების შეფასების სათანადო ცოდნა, ამ ცოდნის საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- ე) ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და კანონმდებლობის სათანადო ცოდნა.

სექცია 8

არქიტექტორი

მუხლი 46. არქიტექტორების მომზადება

1. არქიტექტორის მომზადება უნდა მოიცავდეს:

ა) სულ მცირე სრული დატვირთვის 5 სასწავლო წელს უნივერსიტეტში ან შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის დონის გამოცდების წარმატებით ჩაბარებაზე; ან

ბ) არა ნაკლებ 4 სრული დატვირთვის სასწავლო წელი უნივერსიტეტში ან შესაბამის სასწავლო დაწესებულებაში, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის დონის გამოცდების წარმატებით ჩაბარებაზე, რომელსაც თან ერთვის ორწლიანი პროფესიული სტჟირების დასრულების სერტიფიკატი მეოთხე პარაგრაფის შესაბამისად.

2. არქიტექტურა უნდა იყოს სასწავლო პროგრამის ძირითადი კომპონენტი, როგორც მოცემულია პირველ პარაგრაფში. სასწავლო პროგრამა უნდა ინარჩუნებდეს არქიტექტურის სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს შორის ბალანსს და უნდა

უზრუნველყოფდეს სულ მცირე შემდეგი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას:

- ა) არქიტექტურული დიზაინის/პროექტების შემუშავების უნარი, რომელიც პასუხის როგორც ესთეტიურ ასევე ტექნიკურ მოთხოვნებს;
- ბ) არქიტექტურისა და შესაბამისი სახელოვნებო მიმართულებების ისტორიისა და თეორიის, ტექნოლოგიებისა და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების შესაბამისი ცოდნა;
- გ) სახვითი ხელოვნების, როგორც არქიტექტურული დიზაინის ხარისხის განმსაზღვრელი სფეროს ცოდნა;
- დ) ადექვატური ცოდნა ურბანულ დიზაინსა და დაგეგმარებაში, ასევე დაგეგმარების პროცესისათვის საჭირო უნარები;
- ე) ადამიანსა და შენობა-ნაგებობას შორის, ასევე შენობა-ნაგებობასა და გარემოს შორის კავშირისა და ურთიერთმიმართების გაცნობიერება, აგრეთვე შენობა-ნაგებობებისა და სივრცის ადამიანის საჭიროებებსა და შესაბამის მასშტაბებზე მორგება;
- ვ) არქიტექტორის პროფესიის, საზოგადოებაში მისი როლის და მნიშვნელობის გაცნობიერება, განსაკუთრებით არქიტექტურული პროექტების/განაცხადის შემუშავებისას სოციალური ფაქტორების გათვალისწინების კუთხით.
- ზ) არქიტექტურული პროექტის შეფასებისა და რევიუმის/დასკვნის მომზადების მეთოდების გაცნობიერება/გაგება;
- თ) შენობა-ნაგებობების დაპროექტებასთან დაკავშირებული სამშენებლო და საინჟინრო პრობლემების ასევე სტრუქტურული დიზაინის/დაგეგმარების გაცნობიერება/გაგება;
- ი) მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ფიზიკური პრობლემების, ტექნოლოგიებისა და შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების, შიდა პირობების, კომფორტისა და კლიმატის უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი ცოდნა;
- კ) საჭირო დიზაინერული უნარების ფლობა მომხმარებლის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ფინანსური და სამშენებლო რეგულაციების შეზღუდვების გათვალისწინებით;
- ლ) წარმოების, ორგანიზაციების, რეგულაციების და არქიტექტურული პროექტის /კონცეფციების ხორცშესხმასთან დაკავშირებული პროცედურებისა და დაგეგმარებასთან დაკავშირებული საკითხების შესაბამისი ცოდნა.

წარმოების, ორგანიზაციების, არქიტექტურული პროექტის კონცეფციის ხორცშესხმასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და პროცედურების და ასევე პროექტების/გეგმების საერთო დაგეგმარებაში ინტეგრირების ცოდნა.

3. პირველ და მეორე პარაგრაფში განხილული აკადემიური სწავლების წლები შესაძლოა დამატებით გამოხატული იყოს შესაბამისი ოდენობის ECTS კრედიტებით.

4. პროფესიული სტაჟირება, მოცემული პირველი პარაგრაფის ბ) პუნქტში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პირველი სამი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. სულ მცირე პროფესიული სტაჟირების ერთი წელი უნდა ეფუძნებოდეს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც შეძენილია მეორე პარაგრაფში აღნიშნულ სწავლის პერიოდში. შესაბამისად პროფესიული სტაჟირება უნდა განხორციელდეს შესაბამისი პიროვნებისა ან მშობლიურ წევრ სახელმწიფოში. შესაბამისი ორგანოს მიერ ავტორიზებული სტრუქტურის უშუალო ხელმძღვანელობით. ასეთი სახის სტაჟირება შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ ქვეყანაში. პროფესიული სტაჟირება უნდა შეფასდეს პროგრამის განმახორციელები ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

V.2. ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი

5.2.1. ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მოსამზადებელი პროგრამა

საწავლო პროგრამა, რომელიც მიმართულია ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის ფორმალური კვალიფიკაციის მოპოვებაზე უნდა შედგებოდეს შემდეგი ორი ნაწილისაგან:

ა) თეორიული სწავლება

ა. საექთნო საქმე:

- პროფესიის არსი და ეტიკა
- ჯანდაცვისა და საექთნო საქმის ზოგადი პრინციპები
- საექთნო საქმის პრინციპები შემდეგ სფეროებთან მიმართებაში:
 - ზოგადი და სპეციალიზირებული მედიცინა
 - ზოგადი და სპეციალიზირებული ქირურგია
 - ბავშვზე ზრუნვა/ბავშვთა მოვლა და პედიატრია
 - ორსულის მოვლა
 - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
 - მოხუცებზე ზრუნვა/მოვლა და გერიატრია

ბ. საბაზო მეცნიერებები:

- ანატომია და ფიზიოლოგია
- პათოლოგია
- ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია და პარაზიტოლოგია
- ბიოფიზიკა, ბიოქიმია და რადიოლოგია
- დიეტოლოგია
- ჰიგიენა:
 - პრევენციული მედიცინა
 - ჯანდაცვის განათლება
- ფარმაკოლოგია

გ. სოციალური მეცნიერებები:

- სოციოლოგია
- ფსიქოლოგია
- ადმინისტრირების პრინციპები
- სწავლების პრინციპები
- სოციალური და ჯანდაცვის კანონმდებლობა
- საექთნო საქმის იურიდიული ასპექტები

ბ) კლინიკური სწავლება

- საექთნო საქმე შემდეგ სფეროებში:
 - ზოგადი და სპეციალიზირებული მედიცინა
 - ზოგადი და სპეციალიზირებული ქირურგია
 - ბავშვთა მოვლა და პედიატრია
 - ორსულის მოვლა
 - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია
 - მოხუცებზე ზრუნვა/მოვლა და გერიატრია
 - საექთნო საქმე სახლის პირობებში.

ამ საგნებიდან ერთი ან მეტი შესაძლებელია ისწავლებოდეს სხვა დისციპლინების კონტექსტში ან ინტეგრირებულად.

თეორიული სწავლების წილი და მისი კოორდინირება კლინიკურ სწავლებასთან ამ დანართის შესაბამისი ცოდნისა და უნარების ათვისება ადექვატურად ათვისების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

V.3. სტომატოლოგი /პრაქტიკოსი/

5.3.1 სასწავლო პროგრამა სტომატოლოგებისათვის /პრაქტიკოსი/

სასწავლო პროგრამა, რომელიც მიმართულია სტომატოლოგის ფორმალური კვალიფიკაციის მოპოვებაზე უნდა მოიცავდეს სულ ცოტა შემდეგ საგნებს. ამ საგნებიდან ერთი ან რამოდენიმეს სწავლება შეიძლება განხორციელდეს სხვა კურსებთან ერთად ან იყოს მათთან ინტეგრირებული.

ა. საბაზო საგნები

- ქიმია
- ფიზიკა
- ბიოლოგია

ბ. სამედიცინო-ბიოლოგიური საგნები და ზოგადი მედიცინის საგნები

- ანატომია
- ემბრიოლოგია
- ჰისტოლოგია, ციტოლოგიის ჩათვლით
- ფიზიოლოგია
- ბიოქიმია (ან ფიზიოლოგიური ქიმია)
- პათოლოგიური ანატომია
- ზოგადი პათოლოგია
- ფარმაკოლოგია
- მიკრობიოლოგია
- ჰიგიენა
- პრევენციული მედიცინა და ეპიდემიოლოგია
- რადიოლოგია
- ფიზიოთერაპია
- ზოგადი ქირურგია
- ზოგადი მედიცინა, პედიატრიის ჩათვლით
- ოტო-რინო-ლარინგოლოგია
- დერმატო-ვენეროლოგია
- ზოგადი ფსიქოლოგია - ფსიქოპათოლოგია - ნეიროპათოლოგია
- ანესთეზიოლოგია

გ. საგნები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია სტომატოლოგიასთან

- ორთოპედიული სტომატოლოგია/პროტეზირება
- სტომატოლოგიური მასალები და აღჭურვილობა
- კონსერვაციული სტომატოლოგია
- პრევენციული სტომატოლოგია
- ანესთეზიოლოგია და სედაცია
- სპეციალური ქირურგია
- სპეციალური პათოლოგია
- კლინიკური პრაქტიკა
- ბავშვთა სტომატოლოგია
- ორთოდონტია
- პაროდონტოლოგია
- სტომატოლოგიური რადიოლოგია
- თანკბილვა და ყბის ფუნქცია
- პროფესიული ორგანიზება, ეთიკა და კანონმდებლობა
- პრაქტიკული სტომატოლოგიის სოციალური ასპექტები.

V.4. ვეტერინარი ქირურგი

5.4.1 საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარი ქირურგებისათვის

საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიმართულია ვეტერინარის ფორმალური კვალიფიკაციის მოსაპოვებლად უნდა მოიცავდეს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ სასწავლო საგნებს. ამ საგნებიდან ერთი ან რამოდენიმეს სწავლება შეიძლება განხორციელდეს სხვა სასწავლო კურსებთან ერთად ან იყოს მათთან ინტეგრირებული.

ა. საბაზო საგნები:

- ფიზიკა,
- ქიმია,
- ცხოველების ბიოლოგია,
- მცენარეების ბიოლოგია,
- ბიომათემატიკა;

ბ. სპეციფიკური საგნები:

ა) საბაზო მეცნიერებები:

- ანატომია (ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის ჩათვლით),
- ფიზიოლოგია,
- ბიოქიმია,
- გენეტიკა,
- ფარმაკოლოგია,
- ფარმაცია,
- ტოქსიკოლოგია,
- მიკრობიოლოგია,
- იმუნოლოგია,
- ეპიდემიოლოგია,
- პროფესიული ეთიკა.

ბ) კლინიკური მეცნიერებები:

- მეანობა/სამეანო საქმე,
- პათოლოგია (პათოლოგიური ანატომიის ჩათვლით),
- პარაზიტოლოგია,
- კლინიკური მედიცინა და ქირურგია (ანესთეტიკების ჩათვლით),
- კლინიკური ლექციები სხვადასხვა შინაური ცხოველების შესახებ (შინაური ფრინველი ან ცხოველების სხვა სახეობები),
- პრევენციული მედიცინა,
- რადიოლოგია,
- რეპროდუქცია და რეპროდუქციული დარღვევები,
- სახელმწიფო ვეტერინარული მედიცინა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა,
- სავეტერინარო კანონდებლობა და სასამართლო მედიცინა,
- თერაპია,
- პროპედევტიკა.

გ) ცხოველების წარმოება

- ცხოველების წარმოება,
- ცხოველების კვება,
- აგრონომია,
- სოფლის მეურნეობის ეკონომიკა,
- მეცხოველეობა,
- ვეტერინარული ჰიგიენა,
- ცხოველების ეთოლოგია და დაცვა.

დ) საკვები პროდუქტების ჰიგიენა/უსაფრთხოება:

- კვების პროდუქტების ან ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ინსპექცია და კონტროლი,
- საკვები პროდუქტების ჰიგიენა/უსაფრთხოება და ტექნოლოგია,
- პრაქტიკული მუშაობა (მ.შ. პრაქტიკა პირუტყვის საკლავ და პროდუქტების გადამუშავების ადგილებში).

პრაქტიკული მეცადინეობის ფორმა შეიძლება მიმდინარეობდეს სრული დატვირთვით კონკრეტული ორგანოს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს სრული 5 წლიანი სწავლების პერიოდში. თეორიული და პრაქტიკული სწავლების საგნობრივ ჯგუფებს შორის განაწილება ისე უნდა იყოს დაბალანსებული და კოორდინირებული, რომ მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ვეტერინარ - ქირურგმა შეძლოს საქმიანობის სრულფასოვნად შესრულება.

V.5. ბებიაქალი

5.5.1. საგანმანათლებლო პროგრამა ბებიაქალებისათვის (მომზადების ტიპი I და II)

საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიმართულია ბებიაქალის ფორმალური კვალიფიკაციის მოპოვებაზე უნდა შედგებოდეს შემდეგი ორი ნაწილისაგან:

ა) თეორიული და პრაქტიკული სწავლება

ა. ზოგადი საგნები

- საბაზო ანატომია და ფიზიოლოგია
- საბაზო პათოლოგია
- საბაზო ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია და პარაზიტოლოგია
- საბაზო ბიოფიზიკა, ბიოქიმია და რადიოლოგია
- პედიატრია, განსაკუთრებული აქცენტით ახალშობილებზე
- ჰიგიენა, სამედიცინო, პრევენციული მედიცინა, ადრეული დიაგნოსტიკა
- კვება და დიეტოლოგია, განსაკუთრებული აქცენტით ქალებზე, ახალშობილებზე და ჩვილ ბავშვებზე,
- საბაზო სოციოლოგია და სოციო-სამედიცინო საკითხები
- საბაზო ფარმაკოლოგია
- ფსიქოლოგია
- სწავლების საფუძვლები და მეთოდები
- ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კანონმდებლობა და ჯანდაცვის ორგანიზაცია
- პროფესიული ეთიკა და პროფესიული კანონმდებლობა
- სქესობრივი განათლება და ოჯახის დაგეგმვა
- დედისა და ჩვილის სამართლებრივი დაცვა

ბ. ბებიაქალის საქმიანობისთვის სპეციფიური საგნები:

- ანატომია და ფიზიოლოგია
- ემბრიოლოგია და ნაყოფის განვითარება
- ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი
- გინეკოლოგიური და სამეანო პათოლოგია
- მშობიარობისა და მშობლობისათვის მომზადება, ფსიქოლოგიური ასპექტების ჩათვლით
- ბავშვის მიღებისათვის მომზადება (ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების ცოდნის ჩათვლით)
- ანალგეზია/გაუტკივარება, ანესთეზია და რეანიმაცია
- ახალშობილის ფსიქოლოგია და პათოლოგია
- ახალშობილის მოვლა და ზედამხედველობა
- ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები

ბ) პრაქტიკული და კლინიკური მომზადება

მომზადება უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ:

- ორსული ქალის კონსულტირება, სულ მცირე 100 პრენატალური ვარჯიშის ჩათვლით.
- სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა.
- სტუდენტის მიერ სულ მცირე 40 მშობიარობის მიღება; სადაც ეს რაოდენობა ვერ მიიღწევა დაწესებულებაში საკმარისი მშობიარე ქალების არ ყოფნის გამო, მაშინ რაოდენობა შეიძლება შემცირდეს 30-მდე, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ასისტირებას გაუწევს შემდეგ 20 მშობიარობას.
- აქტიური მონაწილეობა არასწორპოზიციაში მყოფი ბავშვის მშობიარობისას. სადაც ეს შეუძლებელია ასეთი შემთხვევების არარსებობის გამო, პრაქტიკა უნდა განხორციელდეს სიმულაციების მეშვეობით.
- ეპისტომის გაკეთება და ქირურგიული გაკერვის ინიცირება. ინიცირება მოიცავს თეორიულ ისტრუქტაჟს და კლინიკურ პრაქტიკას.
- სულ მცირე 40 ორსული ქალის მოვლა და ზედამხედველობა მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი
- სულ მცირე 100 მშობიარობის შემდგომი/ახლადნაშობიარეები ქალისა და ჯანმრთელი ახალშობილის ზედამხედველობა და მოვლა (გასინჯვის ჩათვლით);
- სპეციალური მოვლის საჭიროების მქონე ახალშობილზე დაკვირვება და მოვლა, ადრეულად, დაგვიანებით, მცირე წონისა თუ ავადმყოფი ახალშობილების ჩათვლით.
- გინეკოლოგიური და სამეანო პათოლოგიების მქონე ქალებზე ზრუნვა, რომელსაც
- მედიცინისა და ქირურგიის სფეროში პაციენტზე ზრუნვის საფუძვლების შესწავლა, რაც თეორიულ მეცადინეობასა და კლინიკურ პრაქტიკას უნდა მოცავდეს.

თეორიული და ტექნიკური მომზადება (მომზადების პროგრამის პირველი ნაწილი) დაბალანსებული და კოორდინირებული უნდა იყოს კლინიკურ მომზადებასთან (იგივე პროგრამის მეორე ნაწილი) ისე, რომ დანართში ჩამოთვლილი ცოდნა და გამოცდილება ათვისებული იყოს ადექვატური გზით.

კლინიკურმა სწავლებამ, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ აღიარებულ სამედიცინო დაწესებულების დეპარტამენტებსა თუ სხვა სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებში, “პრაქტიკაში ზედამხედველობის ქვეშ მომზადების” ფორმა უნდა მიიღოს. მომზადების დროს სტუდენტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სამედიცინო დაწესებულების დეპარტამენტების იმ საქმიანობაში, რაც დაკავშირებულია მათ სასწავლო პროგრამასთან და დაეხმარება მის ათვისებაში. მათ უნდა გააცნობიერონ ის პასუხიმგებლობები, რაც ბებიაქალის საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

V.6. ფარმაცევტი

5.6.1 ფარმაცევტის მომზადების პროგრამა

ფარმაცევტის მომზადების პროგრამა:

- მცენარეთა და ცხოველთა ბიოლოგია;
- ფიზიკა;
- ზოგადი და არაორგანული ქიმია;
- ორგანული ქიმია;
- ანალიტიკური ქიმია;
- ფარმაცევტული ქიმია, სამედიცინო პროდუქტების ანალიზის ჩათვლით;
- ზოგადი და გამოყენებითი ბიოქიმია (სამედიცინო);
- ანატომია და ფიზიოლოგია, სამედიცინო ტერმინოლოგია;
- მიკრობიოლოგია;
- ფარმაკოლოგია და ფარმაკოთერაპია;
- ფარმაცევტული ტექნოლოგია;
- ტოქსიკოლოგია;
- ფარმაკოგნოზია;
- კანონდებლობა და სადაც საჭიროა პროფესიული ეთიკა;

თეორიული და პრაქტიკული სწავლების განაწილება, თითოეულ საგანთან მიმართებაში, ხაზს უსვამდეს თეორიის მნიშვნელობას, რათა შენარჩუნებულ იქნას მომზადების საუნივერსიტეტო ხასიათი.